საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 2013 წლის 01 ნოემბერი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 04-01/59

ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის „ სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესში“ შესატანი ცვლილების განხილვის შესახებ

,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის” 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლის, ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის; 43-ე მუხლის 1 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

I. შევიდეს ცვლილება ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის „ სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესი“-ს მე-7 მუხლში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. „ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტში სწავლის საფასურის გადახდისაგან, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ვადით, თავისუფლდებიან:

ა) მშობლების მზრუნველობას მოკლებული სტუდენტები (დედ-მამით ობოლი)

ბ) სტიქიური უბედურების ან/და ხანძრის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახიდან მყოფი სტუდენტები “

2. სტუდენტთა კატეგორიას, რომლებიც აკმაყოფილებს ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი აკადემიური საბჭოს თანხმობით დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს.

3. წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ კანდიდატთა დამტკიცების შემდეგ ადმინისტრაციის ხელმძღვანელი გამოსცემს ბრძანებას სტუდენტისათვის სწავლის საფასურის გადახდისას შეღავათის მინიჭების შესახებ.

II. დადგენილება დასამტკიცებლად გადაეგზავნოს წარმომადგენლობით საბჭოს

III. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე ე. მესხია